



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარსკვლავთა დინამიკა

ვარსკვლავთა დინამიკა, ვარსკვლავთა ასტრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის ვარსკვლავთა მოძრაობის კანონზომიერებებს მათი სისტემების გრავიტაციულ ველში. იკვლევს აგრეთვე ვარსკვლავთა სისტემების მდგრადობის, დაშლისა და ევოლ. საკითხებს. მნიშვნელოვანი პრობლემა, რ-საც ამჟამად შეისწავლის ვ. დ., არის ვარსკვლავთა სისტემების, კერძოდ, ჩვენი გალაქტიკის სპირალური სტრუქტურის წარმოშობისა და ევოლ. საკითხები, აგრეთვე ამ სისტემების რელაქსაციის დროის განსაზღვრა. ვ. დ. იყენებს *სტატისტიკური - ფიზიკისა* და *ჰიდროდინამიკის* მეთოდებს, რაც განპირობებულია იმით, რომ ვარსკვლავთა სისტემებს ახასიათებს როგორც აირის, ასევე სითხის მრავალი თვისება. ვარსკვლავთა სისტემა (გალაქტიკა, ვარსკვლავთა გროვები და სხვ.) კარგი მიახლოებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „აირი“, რ-ის „მოლეკულებსაც“ ცალკეული ვარსკვლავები წარმოადგენს და რ-ზეც ვარსკვლავთა სისტემის მიერ შექმნილი გრავიტაციული ველი მოქმედებს. ვარსკვლავთა სისტემებში არსებული აირისა და მტვრის ღრუბლებზე მოქმედებს სინათლის წნევის ძალა და მაგნ. ველები, მაგრამ ვ. დ-ში ძირითადია გრავიტაციული ძალები. ვ. დ-მ თანამედროვე სახე მიიღო ამერ. ასტროფიზიკოსის ს. ჩანდრასეკარის, საბჭ. ასტრონომების ვ. ამბარცუმიანის, კ. ოგოროდნიკოვის და სხვათა შრომების საფუძველზე. ვ. დ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართვე. ასტრონომებმა, რ-ებმაც შეისწავლეს ვარსკვლავთა მოძრაობების კანონზომიერებისა და მათი ევოლ. საკითხები (გ. მალასიძე, ა. ტორონჯაძე, რ. ძიგვაშვილი და სხვ.).

რ. ძიგვაშვილი
